05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	30.0
05 05 02	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	61.7
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	260.0



სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას,

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1,958.4
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		957.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება (თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება), სპორტული ფილიალების (ა.ა.ი.პ.-ები) ფუნქციონირების ხელშეწყობა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ექვსი სპორტული ა.ა.ი.პ.-ია, რომელშიც ფუნქციონირებს 30-მდე სპორტის სახეობა, მათში დაკავებულია 200-მდე თანამშრომელი და 1000-მდე მოზარდი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლების სპორტული მიღწევები, როგორც ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ისე მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ასპარეზობებზე, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის სპორტულ ღონისძიებათა ბიუჯეტს მ/წლისათვის გამოყოფილია 42000 (ორმოცდაორი ათასი) ლარი, რომელიც განკუთვნილია როგორც მუნიციპალური ისე რეგიონალური ღონისძიებებისათვის. მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება ფულადი ან/და ფასიანი სასაჩუქრე სუვენირებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		1,001.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური;		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება წლიური საწრთველი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისთვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა. 2020 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ა(ა)იპ საცხენოსნო სპორტული კლუბი; • ა(ა)იპ კომპლექსური სპორტული სკოლა; • ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"; • ა(ა)იპ ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"; • შპს სპორტული კომპლექსი "სამტრედია"; • ა(ა)იპ საჭიდაო კლუბი "ფალავანი" 	
-------------------------------	---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 02 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი"	დაფინანსება ათას ლარში 75.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 02 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა"	დაფინანსება ათას ლარში 181.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტული სკოლის მიმდინარე ხარჯები.</p> <p>სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გაძლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 02 03	ა(ა)იპ " საფრენბურთო კლუბი ჯიკო"	დაფინანსება ათას ლარში 80.0
ქვეპროგრამის			



განმახორციელებელი	ა(ა)იპ " საფრენბურთო კლუბი ჯიკო"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება " საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს მიმდინარე ხარჯები. "საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთულ ქალთა გუნდ „ჯიკო“-ს სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		106.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება " ხელბურთელთა კლუბი"-ს მიმდინარე ხარჯები. პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შპს"სპორტული კომპლექსი სამტრედია"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 05		397.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს"სპორტული კომპლექსი სამტრედია"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შპს "სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, აგრეთვე, სპორტსმენთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. მისი ძირითადი საქმიანობა დაინტერესებული პირებისთვის საცურაო აუზით, საფეხბურთო მიწის მოედნებითა და სპორტული დარბაზით მომსახურებაა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 07		162.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება "საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს მიმდინარე ხარჯები. ძირითადი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვნიელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვნიელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარება.
-------------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		963.6
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		519.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შესაბამისი ააიპ		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ააიპ დომენტი შანიძის სახელობის N 1 სახელოვნებო სკოლა • ააიპ N2 სამუსიკო სკოლა; • ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა • ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა • ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა • ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა • ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		157.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 257 მოსწავლე.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		65.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		47.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		77.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 84 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		58.5



	05		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 106 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		48.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 42 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		65.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, გალერეას ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		349.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობა, მიზანი - თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო		



და მიზანი	საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემცენებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.
-----------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		94.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 9 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს "სამტრედიის მაცნე"	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		73.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს "სამტრედიის მაცნე"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	იგი ერთდერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს "სამტრედიის მაცნე" მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი"	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		39.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.		



პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 05		91.7
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 05 01		30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოვება. საგანმანათლებლო პროცესის მოტივაციის ამაღლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. ახალგაზრდების საქმიანობისა და სხვადასხვა აქტივობებში მათი ჩართულობის ხელშეწყობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების ხელშეწყობა. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება. ახალგაზრდების პრობლემების შესწავლა, წინადადებების შემუშავება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში არსებული ინტელექტუალების ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობა.</p> <p>სხვადასხვა ახალგაზრდული, შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ახალგაზრდების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 05 02		61.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული თანხა მოხმარდება 2020 წლის განმავლობაში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარებას. დამზადდება სხვადასხვა დანიშნულების ორ ენოვანი ბუკლეტები, რომლებზეც სამტრედიის ღირშესანიშნაობები იქნება დატანილი, რაც ჩამოსულ ტურისტებს მეგზურობას გაუწევს და უფრო საინტერესოს გახდის მათ ყოფნას მუნიციპალიტეტში. მოეწყობა ტური კარვებით ახალგაზრდებისათვის-შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის კუთხით. დაგეგმილია ფოტო-კონკურსის ჩატარება, რომელშიც ჩაერთვება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მოყვარული ფოტოგრაფები, მათ მიეცემა შესაძლებლობა განსხვავებული ხედავ შეიტანონ და აღბეჭდონ ჩვენი მუნიციპალიტეტი და არსებული ისტორიული - კულტურული ძეგლები. მუზეუმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები, ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიური ჩართულობით, ნიკო ნიკოლაძის სახლ-</p>		



<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუშუმში. მოეწყობა საზეიმო კონცერტი. მოეწყობა სახალხო დღესასწაული „სამტრედოობა“ და ღონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება საპატრიო მოქალაქეების დაჯილდოება დიპლომებითა და ფულადი ჯილდოთი.</p> <p>კულტურის სფეროში დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები,</p> <p>პოეზიის სარამო, კლასიკური მუსიკის კონცერტი, საახალწლო კონცერტი, სანტების სადღესასწაულო მსვლელობა ახალგაზრდების ჩართულობით, აღინიშნება ტრადიციული დღესასწაულები: მასწავლებლის საერთაშორისო დღე, ქალთა საერთაშორისო დღე, გვირილობა , ცეკვის საერთაშორისო დღე და გამართება საიუბილეო საღამოები. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა სახის კონკურსებში, ფესტივალებსა და გამოფენებში მონაწილეობის მიღება. მოხდება სამტრედიასთან დაკავშირებული კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული და ცნობილი პიროვნებების დაჯილდოება დიპლომებით, მედლებითა და სიგელებით. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და გამოფენებში წარმატებული მონაწილეების დაჯილდოება.</p> <p>კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.</p>
--------------------------------------	--

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>05 06</p>		<p>260,0</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.</p>		

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,362.3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,362.3
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	139.0



06 01 01	აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	139.0
06 02	სოციალური პროგრამები	1,223.3
06 02 01	აიპ „სახლი თანადგომა“	172.3
06 02 02	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	97.7
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	209.0
06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	731.7
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	6.0
06 02 06	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	6.6

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		139,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"		
პროგრამის აღწერა	<ol style="list-style-type: none"> პირველადი ეპიდვლევების განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, დაავადებების კონტროლის პირველადი ღონისძიებები, ლაბორატორიული სინჯის აღება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა (მ.შ ტუბერკულოზის, შიდსის,სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების „B“, „C“ და სხვა ჰეპატიტების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება, ვაქცინათა მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის „ცენტრიდან“ ტესტებისა და სახარჯი მასალების გაცემა, აგრეთვე, „B“ ჰეპატიტის იმუნიგლობულინის გადაცემა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეანო მომსახურებას, სტრატეგიული შრატების, ანტირაბიული ვაქცინის და იმუნიგლობულინის მიღება-განაწილება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში. პარაზიტული დაავადებების ეპიდკონტროლი და პროფილაქტიკა. 		



	<p>6. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>7. „C“ ჰეპატიტის, აივ-ინფექცია, შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართვას მოსახლეობის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფის მიზნით, დადებით შემთხვევების კონფირმაციულ კვლევას და მკურნალობაში ჩართვას. 18 წლის ზემო ასაკის ყველა ბენეფიციარის სკრინინგულ კვლევებს, ვინც არ არის დასკრინილი.</p>
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სახლი "თანადგომა"	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		172,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სახლი "თანადგომა"		
პროგრამის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> • მარტოხელათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო სასადილოთი სარგებლობა (130 სოციალურად დაუცველი პირი); • მარტოხელა პენსიონრებისათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასოდ პურის სარგებლობა (360 სოციალურად დაუცველი პირი); • პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება(18 წლამდე ასაკის 75 ბავშვი); • დღერგძელი პირებისათვის მოხუცთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება(100 და 100 წელს ზემოთ); • მარტოხელა და სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (135 სოციალურად დაუცველი პირი) ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ამანათების მომზადება (5 და მეტი შვილი). 		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი "	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		97,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი "		
პროგრამის აღწერა	მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში სამკურნალო კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტარულ სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დედათა და ბავშვთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		209,0



პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	<p>1. ახალშობილთა დახმარება</p> <p>1. ერთჯერად 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი.</p> <p>2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.</p> <p>3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 ლარის ოდენობით.</p> <p>4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით.</p> <p>5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შეძენის შემთხვევაში 200 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 400 ლარს</p> <p>6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2019 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.</p> <p>2. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ფულადი დახმარება</p> <p>ითვალისწინებს მრავალშვილიან მშობლებისთვის ყოველთვიურ დახმარებას 30 ლარი თითოეულ ბავშვზე).</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		731.7

პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
-----------------------------	---

	<p>1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება</p> <p>- მოქალაქეთა სამედიცინო დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსარტროზი, გონარტროზი, ანევრიზმა, თრომბოზოვლები და ასევე სხვა დაავადებებისქირულგიული და კონსერვატიული მკურნალობა , სამკურნალო სარეაბილიტაციო პროცედურები;</p> <p>ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;</p> <p>ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;</p> <p>გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000 ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, არაუმეტეს 500 ლარის, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;</p> <p>- მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევას.</p>
--	---



ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმ და ომის ვეტერანები, 1.00 და -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 და 200000 ის ჩათვლით 1.00 და 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000-ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალურ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 100 და 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, მაქსიმუმ 300 ლარით 800 ლარის ზემოთ 400 ლარით.

დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევა დაფინანსდება 500 ლარით;

2. მარტოხელა მშობლების დახმარება.

1. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს)

3. სტუდენტების დახმარება

-უმადლესი სასწავლებლის სტუდენტებს 500 (ხუთასი) ლარით გაეწევათ ერთჯერადად; ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან; ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

4. უდედმამო ბავშვების დახმარება

-მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი, უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, ყოველ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

5. ხანდაზმულთა დახმარება;

-ერთჯერად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 (სამასი) ლარიან სოციალური დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;



-ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ) თანხა გაიცემა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით

8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 26 აპრილს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად;

10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება.

1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

2. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით;

3. დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების ერთჯერად ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

4. დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი დაავადების მქონე ბავშვები (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერად დაფინანსებას 500 ლარის ოდენობით.

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო, სმენადაქვეითებულ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

პროგრამის აღწერა



2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით - 150 ლარის ოდენობით.
3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

5. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

6. ავთვისებიანი სიმსივნური (III და IV სტადია) დაავადების მქონე მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 150 ლარით.

13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;

1. მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც დაეწვათ საცხოვრებელი სახლი 2019 წლის დეკემბრის თვეში და არ აულიათ დახმარება, ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 500- 2000 ლარის ოდენობით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, (საცხოვრებელი სახლი) დაეწვათ 2020 წლისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით, 500-2000 ლარის ოდენობით .

3. სამტრედიის ადმინისტრაციული საზღვრებში მცხოვრები, ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (ენგრევთ საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას), უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განესაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 300-დან 1000 ლარის ჩათვლით.

14. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000 მდე

15. წითელი ჯვრის თანადაფინანსება

სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15-27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძნობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

16. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.

დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე



ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2020 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერჯია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე. თანხა თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

17. სოციალურად დაუცველი და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით.

18. სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით.

19. სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები;

20. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები

21. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია.

